



პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების
პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი
საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი



MES 7 23 0001775403



28/12/2023

ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლისთვის “კლდეზე ცოცვის გამყოლი“ ქ. თბილისში, მეკლდეურთა სპორტულ დარბაზში (შპს ალპური კლუბი), ჭიათურის რაიონის სოფ. კაცხში, სოფ. სვერში და მათ მიმდებარე კლდოვან მასივებზე, თურქეთის პროვინცია გეიკზაირში პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლას (ს/კ: 429322985) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - კლდეზე ცოცვის გამყოლი /01816/ ქ. თბილისში, მეკლდეურთა სპორტულ დარბაზში (შპს ალპური კლუბი), ჭიათურის რაიონის სოფ. კაცხში, სოფ. სვერში და მათ მიმდებარე კლდოვან მასივებზე, თურქეთის პროვინცია გეიკზაირში (დანართი).
2. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების

უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2023 წლის 28 დეკემბრის №1773555 ოქმის მეექვსე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით. მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბაბალაშვილი ნინო

ნ. ბაბალაშვილი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
გამყრელიძე გიორგი

გამყრელიძე გიორგი

დანართი

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01816	კლდეზე ცოცვის გამყოლი	გადამზადება	მეხუთე	8	ქართული	8	ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №37. მეკლდეურთა სპორტული დარბაზი (შპს ალპური კლუბი); ჭიათურის რაიონი, სოფ. კაცხი, სოფ. სვერი და მათი მიმდებარე კლდოვანი მასივები; თურქეთის პროვინცია გეიკბაირი